

# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

## სხდომის ოქმი №7

ქ.თბილისი

18.07.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:**

თეონა კუპატაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

დიმიტრი ალავიძე - შპს - „ვოლ ფაბლიშინგის“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე;

ზაზა ლაზარაშვილი - აკად. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის სამედიცინო ცენტრის დირექტორი;

მიხეილ კორძახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ზაქარია შველიძე - ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;

მადონა ჭეიშვილი - შპს - №5 კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:**

ნანა ჭილლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

გიორგი ცხევდიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

თამარ შუდრა - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ირმა ნოზაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

**აკრედიტაციის ექსპერტები:**

ეკატერინე გიგაშვილი;

მავა კაჭარავა;

ეკატერინე ბაკარაძე;

ნინო ღალანიძე;

ვლადიმერ მკერვალიშვილი.

**ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:**

თამარ ვეფხვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არყოფნის გამო, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილლაძემ საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით „სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე, ხოლო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი“. დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრა, რომ სხდომას გაუძღვებოდა საბჭოს წევრი - თეონა კუპატაძე.


თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:03 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:



თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.



1. а(а)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ წარმატებით, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პროზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- სასურველია, რომ სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უფრო მეტი საშუალება მიეცეთ.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას. ამასთან, განმარტა, რომ სტუდენტების ჩართვა გაცვლით პროგრამებში, იმის მიხედვით ხდება, თუ რომელ ენას ფლობს სტუდენტი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.


2. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სამაგისტრო დონეზე აუცილებელია "აკადემიური წერის" სასწავლო კურსის პროგრამაში ასახვა, რადგან უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის უნივერსიტეტში შექმნილი სილაბუსი, სრულად არ მოიცავს სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას;
- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. ამავდროულად, სამაგისტრო პროგრამაში სასურველია პრაქტიკის კომპონენტი (პრაქტიკა, სტაჟირება) ცალკე გამოიყოს 120 კრედიტიდან, რათა სახეზე იყოს მაგისტრატურისთვის აუცილებელი სწავლის/კვლევის/პრაქტიკის გონივრული თანაფარდობა;
- სასურველია დაცული სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა მეტად შეესაბამებოდეს მისანიჭებელ საკვალიფიკაციო სპეციალობას, რაც ალბათ გასათვალისწინებელი გარემოება იქნება პროგრამის შემდგომი რეალიზაციის პროცესში;
- სასურველია სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ უფრო მეტი საშუალება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა;
- სამაგისტრო დონეზე პროგრამაში მოცემული ყველა სავალდებულო და არჩევითი კურსებისთვის 5-5 კრედიტის მინიჭება გარკვეულად ხელოვნურ ელექტრონურ იმპერატორის და კარგავს მის უშუალო დანიშნულებას;
- სამაგისტრო ნაშრომების რეცენზენტთა შეფასებები, მეცნიერ-ხელმძღვანელთა დასკვნები, ცალკეულ შემთხვევაში, ატარებს ტრაფარეტულ ხასიათს და ნაკლებად კრიტიკულია;
- მიუხედავად იმისა, რომ თასუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა ასახული უნდა იყოს შესაბამისი პროგრამის აღწერილობაში, მოცემული დათვემა, ცალკეულ შემთხვევაში არ სრულდება;
- გამრავლაფეროვნებას და უხსლოები პუბლიკაციებით გამდიდრებას .საჭიროებს სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი, ბოლოდორინდელი სტატიებით და კვლევებით;
- სილაბუსების ძირითად ლიტერატურაში მითითებული მასალა ცალკეულ შემთხვევებში არ მოიძიება უნივერსიტეტის საბიბლიოთებით ფონდში; ამ მხრივ, გარკვეულ სრულყოფას საჭიროებს ბიბლიოთეკისა და ხარისხის სამსახურის ორმხრივი საქმიანი კავშირულთიერთობა - ყოველსემესტრული საგალდებულო სასწავლო ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას სასურველია თან ახლდეს კომპეტენციების რუქა;
- სასწავლო გეგმების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების კოდიფიცირება;
- პროგრამის უკეთ ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იქნებოდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოკლე ინგლისურენოვანი ანოტაციის შექმნა და მისი ვებგვერდზე განთავსება;



- არსებული კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარება – გაუმჯობების მიზნით, სასურველი იქნება შიდასაუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების პრაქტიკის გაფართოება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. ამასთან, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასწავლო კურსი - „პროფესიული დახელოვნება“, საქართველოს ისტორიის მიმართულებით მიმდინარეობს კვლევითი მუშაობა, იგეგმება დაცვებიც.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული შეეხებოდა მხოლოდ ერთ თემას, რომელიც კავკასიონლოგიისა და ქართველოლოგიის მიჯნაზე იყო აგებული.

მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულება შეეცდება გაზარდოს გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა სპექტრი.

საბიბლიოთეკო რესურსებთან და ლიტერატურასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ცალკეულ შემთხვევებში მართალია სიალბუშში ძველი ლიტერატურაა მითითებული, თუმცა აღნიშნული ლიტერატურა, პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე ამჟამადაც აქტუალურია - მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 2

#### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. ა(ა)იპ - იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნება ენობრივ პრაქტიკაზე ორიენტირებული კომპონენტი ცალკე გამოიყოს რათა სახეზე იყოს სწავლის/კვლევის/პრაქტიკის გონივრული თანაფარდობა;
  - სასურველია, ენობრივი პრაქტიკა სტუდენტისთვის მხოლოდ სასწავლო სტაჟირებით არ შემოიფარგლებოდეს და სტუდენტებისათვის ენობრივი პრაქტიკის გავლის მიზნით, შემუშავდეს თანამშრომლობის მექანიზმი საქართველოში შემოსულ ირანულ ორგანიზაციებთან;
  - საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსის „აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების“ ჩართვა, ხელს შეუწყობს/უზრუნველყოფს უფრო ტექნიკურად გამართული, პროდუქტიული სამაგისტრო ნაშრომის შექმნას და სათანადო კომპეტენციების გამომუშავებას;
  - სასწავლო გეგმების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების კოდიფიცირება;
  - პროგრამების უკეთ ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იქნებოდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოკლე ინგლისურენოვანი ანოტაციის შექმნა და მისი ვებ-გვერდზე განთავსება;
  - არსებული კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარება – გაუმჯობების მიზნით, სასურველი იქნება შიდასაუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების პრაქტიკის დაწერგვა;
  - გამრავლაფეროვნებას და უახლოესი პუბლიკაციებით გამდიდრებას საჭიროებს სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი, ბოლოდროინდელი სტატიებით, კვლევებით;
  - პროგრამაში მოცემული არ არის სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა;
  - სასურველია, პროგრამის განხორციელებაში მოხდეს ახალგაზრდა პროფესიონალი კადრების ჩართვა;
  - სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელობაში მეტი ყურადღება მიაქციოს დამსაქმებლებთან ურთიერთობას;
  - ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამაში 2 სასწავლო კურსის დასახელებაში ფიგურირებს „სპეცურსი“ (ცერძოდ, სპეციური სპარსულ ენაში, სპეციური სპარსულ ლიტერატურაში). სასურველია, სასწავლო კურსის სახელწოდება ამ კურსის შინაარსზე მეტ ინფორმაციას იძლეოდეს, რისთვისაც საჭიროა, ამ სასწავლო კურსებს უფრო შესაფერისი სახელწოდებები შეერჩეს.
- თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. მეათე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას სხვადასხვა ირანულ კომპანიასთან აქვს ურთიერთობა სტუდენტთა დასაქმების მიზნით.

საბჭოს წევრმა ზაზა ლაზარაშვილმა იკითხა, რა არგუმენტი ედებოდა საფუძვლად ბოლო რეკომენდაციას. ექსპერტმა ვლადიმერ მკერვალიშვილმა განმარტა, რომ სასწავლო კურსი თავისი შინაარსით არ იყო სპეციურსი - სწორედ აქედან გამომდინარე შეიმუშავა ექსპერტთა ჯგუფმა მეთერთმეტე რეკომენდაცია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**4. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქული ფილოლოგის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა. თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- სამაგისტრო დონეზე პროგრამაში მოცემული ყველა სავალდებულო და არჩევითი კურსებისთვის 5-5 კრედიტის მინიჭება გარკვეულად ხელოვნურ ელფერს იძენს და კარგავს მის უშუალო დანიშნულებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას. ამსათან განმარტა, რომ კრედიტების ამგვარი განაწილების მიზეზი სტუდენტებისათვის კომფორტის შექმნაა - მომიჯნავე დარგებიდან სასწავლო კურსის აღებისას კრედიტების იდენტობა კრედიტების აღება ადეკვატური იყოს. ამგვარად, დაწესებულება სტუდენტს აძლევს მომიჯნავე დარგებიდან საგნების აღების უფლებას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქული ფილოლოგის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქული ფილოლოგის სამაგისტრო პროგრამას მიერიჭოს აკრედიტაცია.

5. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურრიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. ამავდროულად, სამაგისტრო პროგრამებში სასურველი იქნება საველე პირობებზე ორიენტირებული კომპონენტი (პრაქტიკის, სტაჟირების სახით) ცალკე გამოიყოს, ანუ სახეზე რომ იყოს მაგისტრატურისთვის აუცილებელი სწავლის/კვლევის/პრაქტიკის გონივრული თანაფარდობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

#### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**6. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის (რუსულენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმომადგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. ამავდროულად, სამაგისტრო პროგრამაში სასურველი იქნება საველე პირობებზე ორიენტირებული კომპონენტი პროფესიული პრაქტიკის სახით მინიმუმ 5 კრედიტის მოცულობის დამატება, ანუ სახეზე რომ იყოს სწავლის/კვლევის/პრაქტიკის გონივრული თანაფარდობა, რომელიც ხელს შეუწყობს მაგისტრანტს აკადემიურ გარემოში დაგროვილი დარღობრივი ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებას;
  - სასურველია, რომ მთელი ფაკულტეტის მასშტაბით, მათ შორის კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კუთხით პროგრამას დანართის სახით მოყვებოდეს კომპეტენციათა მატრიცა;
  - სასწავლო გეგმების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების კოდიფიცირება;
  - ზოგიერთ სილაბუსებში მითითებული სავალადებულო სასწავლო ლიტერატურა პერიოდულად განახლდეს თანამედროვე გამოცემებით;
  - სასურველია, რომ პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კურსის სახით ისწავლებოდეს აკადემიური წერა, რომელიც ხელს შეუწყობს სამეცნიერო წერის უნარების განვითარებას და სამაგისტრო ნაშრომის კვალიფიციურად შესრულებას;
  - სასურველია სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს მიეცეთ უფრო მეტი საშუალება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა;
  - სასურველია გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა პროგრამით შეთავაზებულ არჩევით საგნებში.
- თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს.
- საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.
- თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის (რუსულენოვანი) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგის (რუსულენოვან) სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის პლატფორმის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმომადგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია, სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში კონკრეტულად იყოს მითითებული რომელი მიმართულებათშორისი დარგების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს აქვთ პროგრამაზე მიღების შესაძლებლობა, რაც უფრო გამჭვირვალეს გახდის ზოგადად პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს;

- სასურველია, სამაგისტრო პროგრამაში მკაფიოდ იყოს აღწერილი პრაქტიკული კომპონენტის გამომუშავების ფორმატი (მაგ. საველე პრაქტიკა, ექსპედიცია და ა.შ.), რაც პროგრამის ინტერდისციპლინარული ხასიათიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, აუცილებელია და დიდად შეუწყობს ხელს სწავლის სათანადო შედეგების მიღწევას;

- სასურველია, კურიკულუმს დაემატოს სპეციალურად სამაგისტრო საფეხურისთვის შექმნილი სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“, რაც მნიშვნელოვნად განვითარებს ამ საფეხურის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შესაბამის კომპეტენციებს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამჟამად დაწესებულებას ფინანსური რესურსი არ ეყო, თუმცა მომავალში აუცილებლად გამოსწორებენ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყაზე დააყენა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2

პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სამაგისტრო დონეზე აუცილებელია "აკადემიური წერის" სასწავლო კურსის პროგრამის ასახვა, რადგან უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის უნივერსიტეტში შექმნილი სილაბუსი, სრულად არ მოიცავს სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას;
- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში; ამავდროულად, სამაგისტრო პროგრამაში სასურველი იქნება პრაქტიკის კომპონენტი (პრაქტიკა, სტაჟირება) ცალკე გამოიყოს, სახეზე რომ იყოს მაგისტრატურისთვის აუცილებელი სწავლის/კვლევის/პრაქტიკის გონივრული თანაფარდობა;
- სამაგისტრო ნაშრომების რეცენზიენტთა შეფასებები, მეცნიერ-ხელმძღვანელთა დასკვნები, ცალკეულ შემთხვევაში, ატარებს ტრაფარეტულ ხასიათს და ნაკლებად კრიტიკულია;
- მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა ასახული უნდა იყოს შესაბამისი პროგრამის აღწერილობაში, მოცემული დათქმა, ცალკეულ შემთხვევაში არ სრულდება;
- სასურველია სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ უფრო მეტი საშუალება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა;
- გამრავლაფეროვნებას და უახლოესი პუბლიკაციებით გამდიდრებას საჭიროებს სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი, ბოლოდროინდელი სტატიებით და კვლევებით;
- სილაბუსების ძირითად ლიტერატურაში მითითებული მასალა ცალკეულ შემთხვევებში არ მოიძიება უნივერსიტეტის საბიბლიოთებით ფონდში; ამ მხრივ, გარკვეულ სრულყოფას საჭიროებს ბიბლიოთეკისა და ხარისხის სამასტურის ორმხრივი საქმიანი კავშირულთიერთობა - ყოველსემესტრული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას სასურველია თან ახლდეს კომპეტენციების რუქა;
- სასწავლო გეგმების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების კოდიფიცირება;
- პროგრამის უკეთ ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იქნებოდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოკლე ინგლისურენოვანი ანოტაციის შექმნა და მისი ვებ-გვერდზე განთავსება;
- არსებული კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარება – გაუმჯობების მიზნით, სასურველი იქნება შიდასაუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების გაფართოება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებს და ახალი სასწავლო წლიდან უკვე დაიწყებენ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

#### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**9. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სამაგისტრო დონეზე აუცილებელია „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის პროგრამაში ასახვა, რადგან უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის უნივერსიტეტში შექმნილი სილაბუსი, სრულად არ მოიცავს სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას;
- სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საგნების დიდი ნაწილი (60 კრედიტი) სავალდებულო და ფიქსირებულია, რაც, შესაბამისად, დაბლა წევს სტუდენტის არჩევითობის ხარისხს და არ აძლევს მას საშუალებას კონცენტრაცია მოახდინოს მისთვის სასურველი მიმართულებით, უმჯობესი იქნებოდა, გაზრდილიყო არჩევითი კურსების წონითი ხვედრი;
- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. ამავდროულად, სამაგისტრო პროგრამებში სასურველი იქნება საველე პირობებზე ორიენტირებული კომპონენტი (პრაქტიკის, სტაჟირების სახით) ცალკე გამოიყოს 120 კრედიტიდან, ანუ სახეზე რომ იყოს მაგისტრატურისთვის აუცილებელი სწავლის / კვლევის / პრაქტიკის გონივრული თანაფარდობა;
- სასურველია სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს მიეცეთ უფრო მეტი საშუალება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა;
- გერმანული ფილოლოგის სამაგისტრო პროგრამაში მიღების წინაპირობაში მითითებულია გერმანული ენის ცოდნის B2 დონე, რაც სწავლის პროცესში უნდა ამაღლდეს C1 დონემდე. პროგრამაში გათვალისწინებულია 3 გერმანულებოვანი კურსი, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ შესაბამის დონეზე ენობრივი კომპეტენციების განვითარებას. სასურველი შედეგის მისაღწევად, უმჯობესი იქნებოდა, პროგრამაში ისწავლებოდეს გერმანული ენის პრაქტიკული კურსი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში ისწავლება აკადემიური წერა, თუმცა სხვა სახელწილდებით. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება მას იზიარებდა, თუმცა სავალდებულო საგნების დიდი ხვედრითი წილი ფუძემდებლური საკითხების არსებობით იყო განპირობებული. ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტები რეალურად C1 დონით მოდიან, ამასთან პროგრამის არქიტექტურა ისეთია, რომ B2 დონით მოსული სტუდენტებიც კი პროგრამის დამთავრებისას C1 დონეს აღწევს. ამასთან, მიღების წინაპირობად B2 დონის განსაზღვრა მოცემულ სამაგისტრო პროგრამაზე იმ პირების მოზიდვის მიზნით ჩაიდო, რომლებსაც არ დაუმთავრებიათ გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილლაძემ განმარტა, რომ სწავლის მეორე საფეხური (მაგისტრატურა) თავის თავში გულისმობს პროფესიის შეცვლის

შესაძლებლობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა იმ პირებსაც აძლევდეს სწავლის შესაძლებლობას, რომლებიც არ არიან გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

#### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**10. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის - ინტერკულტურული კვლევები ძველ და შუა საუკუნეების ისტორიაში - აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის ბასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა ასახული უნდა იყოს შესაბამისი პროგრამის აღწერილობაში, მოცემული დათქმა, ცალკეულ შემთხვევაში არ სრულდება;
- სასურველია სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ უფრო მეტი საშუალება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა;
- გამრავლაფეროვნებას და უახლოესი პუბლიკაციებით გამდიდრებას საჭიროებს სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი, ბოლოდროინდელი სტატიებით და კვლვებით;
- სილაბუსების ძირითად ლიტერატურაში მითითებული მასალა ცალკეულ შემთხვევებში არ მოიძიება უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდში; ამ მხრივ, გარკვეულ სრულყოფას საჭიროებს ბიბლიოთეკისა და ხარისხის სამსახურის ორმხრივი საქმიანი კავშირულთიერთობა - ყოველსემესტრული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას სასურველია თან ახლდეს კომპეტენციების რუქა;
- სასწავლო გეგმების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების კოდიფიცირება;
- პროგრამების უკეთ ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იქნებოდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ მოკლე ინგლისუროვანი ანოტაციის შექმნა და მისი ვებგვერდზე განთავსება;
- არსებული კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარება - გაუმჯობების მიზნით, სასურველი იქნება შიდასაუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების პრაქტიკის გაფართოება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომდგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დამაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის - ინტერკულტურული კვლევები ძველ და შუა საუკუნეების ისტორიაში - აკრედიტაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამას - ინტერკულტურული კვლევები ძველ და შუა საუკუნეების ისტორიაში - მიენიჭოს აკრედიტაცია.

**11. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიევისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სამაგისტრო დონეზე აუცილებელია "აკადემიური წერის" სასწავლო კურსის პროგრამაში ასახვა, რადგან უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის უნივერსიტეტში შექმნილი სილაბუსი, სრულად არ მოიცავს სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკას;

- სამაგისტრო დონეზე პროგრამაში მოცემული ყველა სავალდებულო და არჩევითი კურსებისთვის 5-5 კრედიტის მინიჭება გარკვეულად ხელოვნურ ელფერს იძენს და კარგავს მის უშუალო დანიშნულებას;

- სამაგისტრო პროგრამა სტრუქტურულად უნიფიცირებულია, სასწავლო კომპონენტის საგნების დიდი ნაწილი სავალდებულო და ფიქსირებულია, რაც, შესაბამისად, დაბლა წევს სტუდენტის არჩევითობის ხარისხს და არ აძლევს მას საშუალებას, კონცენტრაცია მოახდინოს მისთვის სასურველი მიმართულებით; რეკომენდაციაა გაიზარდოს არჩევითი საგნების წილი პროგრამაში;

- სასურველია სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს მიეცეთ უფრო მეტი საშუალება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა;

- სახეზეა დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმების სიმცირე, ისინი უმეტეს შემთხვევებში არ არიან ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და მათი მოდერნიზაციის საქმეში;

- გამრავლაფეროვნებას და უახლოესი პუბლიკაციებით გამდიდრებას საჭიროებს სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი, ბოლოდროინდელი სტატიებით და კვლევით;

- სილაბუსების ძირითად ლიტერატურაში მითითებული მასალა ცალკეულ შემთხვევებში არ მოიძება უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდში; ამ მხრივ, გარკვეულ სრულყოფას საჭიროებს ბიბლიოთეკისა და ხარისხის სამასხურის ორმხრივი საქმიანი კვაშირულთიერთობა - ყოველსემესტრული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით;

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას სასურველია თან ახლდეს კომპეტენციების რუქა; სასწავლო გეგმების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების კოდიფიცირება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომდგენელმა განცხადა, რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ ამჟამად თავისუფალი კრედიტების კომპონენტის მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს, თუმცა არსებობს მოსაზრება მისი 50 კრედიტამდე გაზრდის თაობაზე. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამა მომავალ მეცნიერთა მომზადებაზე არის ორიენტირებული, უქმნის მათ დოქტორანტურამდელ სამეცნიერო ცოდნის ბაზისს და არ აქვს პირდაპირი კავშირი შრომის ბაზართან. შესაბამისად

დამსაქმებლებზე მეტად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან სხვა კვლევითი დაწესებულებები და აგრეთვე სამეცნიერო კვლევების დამფინანსებელი დონორი ორგანიზაციები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიევისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

#### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიევისტიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**12. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასირიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფლი ნაწილი.

